საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/324 " 18 " დეკემბერი 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის
დანამატის განსაზღვრის შესახებ

1. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 8 მაისის №1/87 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოქმედ ყოველთვიურ დანამატთან ერთად, 2017 წლის დეკემბრის თვეში:

ა) საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს თანამდებობრივ სარგოზე დანამატი განესაზღვროთ თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით;

ბ) „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანამატთან ერთად საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს თანამდებობრივ სარგოზე დანამატი განესაზღვროთ 500 ლარის ოდენობით;

გ) „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ დანამატთან ერთად, თანამდებობრივ სარგოზე დანამატი განესაზღვროთ:

გ.ა) თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე შორენა ყაველაშვილს თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით;

გ.ბ) თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ეკატერინე ბიწაძეს თანამდებობრივი სარგოს 200%-ის ოდენობით;

გ.გ) თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თამარ ოქროპირიძეს თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით;

გ.დ) თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე შორენა წიქარიძეს თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით.

გ.დ) რუსთავის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლე ირინე ტყეშელაშვილს თანამდებობრივი სარგოს 200%-ის ოდენობით.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილებით დადგენილი დანამატის გაცემა.

გიორგი მიქაუტაძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი